



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 155

ქ. თბილისი

24 ნოემბერი 2017წ.

2017 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ
– შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი
სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა და (TUBITAK) და სსიპ -
შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი
სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N55/ნ ბრძანებით
დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი
წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2
პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების
მოზიდვის სამსახურის მთავარი სპეციალისტის ირაკლი გრძელიშვილის სამსახურებრივი
ბარათის (N1438371, 24.11.2017) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2017 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსზე პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირების განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ს შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საქართველოდან პროექტის ხელმძღვანელისა და კვლევითი ჯგუფის წევრების ბიოგრაფიული მონაცემები (CV)-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;

5. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტების საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
8. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარიამ ქებურია



გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

2017 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი
სამეცნიერო საგრანტო კონკურსის

პროგრამა და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროგრამა და პირობები არეგულირებს თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამართვის, გრანტის გაცემისა და პროექტების განხორციელების მონიტორინგის საკითხებს.
2. თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის მიზანია მეცნიერების სფეროში საქართველოსა და თურქეთს შორის თანამშრომლობის გაღრმავება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების მეცნიერთა ჯგუფებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის - ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების გზით.
3. 2017 წლის კონკურსი ითვალისწინებს საგრანტო დაფინანსებას ერთობლივი კვლევითი პროექტების განსახორციელებლად.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობა და კონკურსის პირობები

1. თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივ სამეცნიერო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით, 2018 წლის 15 თებერვლამდე, თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოს (TUBITAK) ელექტრონულ სისტემაში (მისამართზე uidb-pbs.tubitak.gov.tr) ერთობლივი კვლევითი პროექტი ინგლისურ ენაზე უნდა წარადგინოს საქართველოს მოქალაქე მეცნიერთა ჯგუფმა და თურქეთის მეცნიერთა ჯგუფმა.

2. საქართველოს მოქალაქე მეცნიერთა ჯგუფმა ფონდის კანცელარიაში 2018 წლის 1 მარტის 15:00 საათამდე უნდა წარადგინოს:

ა) თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოს (TUBITAK) ელექტრონულ სისტემაში ინგლისურ ენაზე დარეგისტრირებული სრული საპროექტო წინადადების ასლი;

ბ) თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოს (TUBITAK) ელექტრონულ სისტემაში ინგლისურ ენაზე დარეგისტრირებული სრული საპროექტო წინადადების ქართულ ენაზე ნათარგმნი და თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული ვერსია.

გ) თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2017 წლის ერთობლივ სამეცნიერო საგრანტო კონკურსში მონაწილე პროექტის წარმომდგენ ქართველ მეცნიერთა განცხადება, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს მხრიდან პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერით, ქართველ მეცნიერთა ჯგუფის ყველა წევრის ხელმოწერით (დანართი N2).

დ) პროექტის ხელმძღვანელისა და სხვა ძირითადი პერსონალის - საქართველოს მეცნიერთა ჯგუფის წევრთა პირადობის დამადასტურებელი და აკადემიური ხარისხის/სწავლის დამადასტურებელ დოკუმენტები (თუ აღნიშნული დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება).

ე) პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიები (CV) (დანართი N3).

ვ) თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, პროექტის ხელმძღვანელმა ფონდში უნდა წარადგინოს თანადაფინანსების დამადასტურებელი წერილი თანხის მითითებით და შესაბამისად დამოწმებული იურიდიული პირის, ხელმძღვანელის, ან ფიზიკური პირის ხელმოწერით (დანართი N4).

ზ) თუ პროექტი წარმოადგენდეს სხვა საერთაშორისო პროექტით გათვალისწინებული კვლევის იმ დაუფინანსებელ ნაწილს, რომელიც საჭიროებს თანადაფინანსებას, ან აღნიშნული კვლევის გაგრძელებას, სავალდებულოა პროექტის ძირითადი პერსონალის წარმომადგენელმა ფონდის კანცელარიაში წარადგინოს აღნიშნული საერთაშორისო პროექტის ან კვლევის შესახებ დეტალური ინფორმაცია და საპროექტო წინადადების მნიშვნელობის/როლის განმარტება ზემოხსენებული საერთაშორისო პროექტთან ან კვლევასთან მიმართებით.

3. საკონკურსო დოკუმენტაციის ფონდში წარდგენა შესაძლებელი იქნება 2018 წლის 1 მარტის 15:00 საათამდე. ვადის დარღვევით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღება.

4. ფონდი უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

5. ერთობლივი კვლევითი პროექტის წარმდგენ ჯგუფებს უნდა ჰყავდეთ სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ა) საქართველოს მეცნიერთა ჯგუფს - საქართველოს მოქალაქე სამეცნიერო ხელმძღვანელი;

ბ) თურქეთის მეცნიერთა ჯგუფს - სამეცნიერო ხელმძღვანელი თურქეთიდან.

6. სასურველია პროექტში ახალგაზრდა მკვლევარ(ებ)ის ჩართულობა.

7. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქე დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს.

8. პროექტის ძირითადი პერსონალის სტატუსით კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:

ა) მაგისტრანტებს, დოქტორანტებს, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს;

ბ) დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს.

მუხლი 3. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. საქართველოს მხრიდან კონკურსის ადმინისტრირებასა და გრანტის გაცემას ახორციელებს ფონდი.

2. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის გამოცხადებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და TUBITAK-სა და ფონდს შორის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ოქმით განსაზღვრული პერიოდულობით;

ბ) კომისიის მიერ პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას;

გ) TUBITAK-თან ერთად საუკეთესო პროექტების გამოვლენას და გამარჯვებული პროექტების დამტკიცებას;

დ) დამტკიცებული ერთობლივი პროექტის მონაწილე საქართველოს მეცნიერთა ჯგუფის დაფინანსებასა და პროექტების შესრულების მონიტორინგს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N55/ნ ბრძანების მე-13 მუხლის შესაბამისად.

3. TUBITAK უზრუნველყოფს:

ა) საპროექტო წინადადებების ელექტრონული ფორმატით მიღებას TUBITAK-ის ელექტრონულ სისტემაში - <http://uidb-pbs.tubitak.gov.tr/>

ბ) დამტკიცებული ერთობლივი პროექტის მონაწილე თურქეთის მეცნიერთა ჯგუფის დაფინანსებას.

გ) ფონდთან ერთად საუკეთესო პროექტების გამოვლენას და გამარჯვებული პროექტების დამტკიცებას.

მუხლი 4. გრანტის პირობები და ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება

1. ერთობლივი კვლევითი პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 24 თვეს. კვლევითი პროექტის ფარგლებში სამეცნიერო ვიზიტის ხანგრძლივობა ერთი მიმართულებით არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 2 თვეს. შესაბამისად, კვლევითი ვიზიტების საერთო ხანგრძლივობა ორივე მიმართულებით არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 4 თვეს.

2. საგრანტო დაფინანსება შეიძლება მოთხოვნილი იყოს შემდეგი სქემით:

ა) საკონკურსოდ წარდგენილი ერთობლივი კვლევითი პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი ორწლიანი დაფინანსების ჯამური თანხა არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს, ხოლო წლიური თანხა - 15 000 ლარს.

ბ) 12 თვემდე და 12 თვიანი პროექტის შემთხვევაში, ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 15 000 ლარს. ხოლო 12 თვეზე მეტი ხანგრძლივობის მქონე პროექტის შემთხვევაში, ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს.

3. პროექტი, შესაძლებელია, წარმოადგენდეს სხვა საერთაშორისო პროექტით გათვალისწინებული კვლევის იმ დაუფინანსებელ ნაწილს, რომელიც საჭიროებს თანადაფინანსებას, ან აღნიშნული კვლევის გაგრძელებას.

4. შესაძლებელია, ერთობლივ კვლევით პროექტს ჰქონდეს თანადაფინანსება. ასეთის

არსებობის შემთხვევაში ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს თანადაფინანსების დამადასტურებელი წერილი თანხის მითითებით და შესაბამისად დამოწმებული იურიდიული პირის, ხელმძღვანელის, ან ფიზიკური პირის ხელმოწერით.

5. ერთობლივი კვლევითი პროექტის დაფინანსება ხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდებით, რომლებიც შეესაბამება საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილ საანგარიშო პერიოდს. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს პროექტის ხელმძღვანელის მიერ ფონდს წარედგინება ფონდის მიერ დადგენილი ფორმების შესაბამისად მომზადებული პროექტის შესრულების ანგარიში, რომელიც მოიცავს პროგრამულ და ფინანსურ ნაწილს. ყოველი მომდევნო ტრანში გადაირიცხება წინა საანგარიშო პერიოდის შედეგების შესრულების შესახებ ფონდში წარდგენილი ანგარიშების განხილვის აქტის საფუძველზე.

6. პროექტის ფინანსური ანგარიშსწორების საკითხები რეგულირდება ფონდსა და გრანტის მიმღებებს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით.

7. ერთობლივი კვლევითი პროექტის დასრულების შემდეგ ფონდის მიერ გაცემული გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება საქართველოს მეცნიერთა ჯგუფს, მათ შორის წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

მუხლი 5. პროექტის ბიუჯეტი

1. ერთობლივი კვლევითი პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებდეს ფონდისა და TUBITAK-ის ერთობლივი საგრანტო კონკურსის ბიუჯეტის კლასიფიკატორით (დანართი #5) განსაზღვრულ შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

- ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;
- ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- გ) მივლინება;
- დ) საქონელი და მომსახურება;
- ე) ძირითადი აქტივები.

2. გრანტის თანხებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა/იჯარა, შენობა-ნაგებობის კაპიტალური რემონტი/რეკონსტრუქცია, ავტომანქანის/სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა.

3. ქვეყნის გარეთ მივლინება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ თურქეთში.

მუხლი 6. კონკურსის ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

- ა) კონკურსის გამოცხადება (2017 წლის ნოემბერი);
- ბ) პროექტების რეგისტრირება TUBITAK-ის ელექტრონულ სისტემაში (2018 წლის 15

თებერვლამდე);

გ) ფონდის კანცელარიაში საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა (2018 წლის 1 მარტამდე);

დ) დამფინანსებელი მხარეების მიერ პროექტების კონკურსის პროგრამასა და პირობებთან შესაბამისობის დადგენა (2018 წლის აპრილი);

ე) ფონდისა და TUBITAK-ის მიერ პროექტების შეფასება (2018 წლის აპრილი-ივნისი);

ვ) რანჟირებული სიის შესაბამისად დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ (2018 წლის ივნისი);

ზ) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება (2018 წლის ივლისი).

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. ერთობლივი კვლევითი პროექტების საგრანტო კონკურსის ფარგლებში შეფასდება მხოლოდ ერთობლივად წარდგენილი პროექტები.

2. დაფინანსდება მხოლოდ ფონდისა და TUBITAK-ის მიერ ერთობლივად შერჩეული და დამტკიცებული პროექტები.

3. ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ერთობლივი კომისია აფასებს კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფ რეგისტრირებულ პროექტებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N55/ნ ბრძანებით დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

4. ფონდი უფლებამოსილია, პროექტების შესაფასებლად მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტები.

5. ფონდი, ერთობლივი კომისიის შეფასებისა და TUBITAK-თან შეთანხმების საფუძველზე, ამტკიცებს დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებს.

6. ერთობლივი კომისიისაგან მიღებული შეფასებების საფუძველზე, გენერალური დირექტორი უფლებამოსილია გამოყოს სათადარიგო პროექტები, რომლებიც ჩაენაცვლება გამარჯვებულ პროექტებს იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულთან არ გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება.

7. ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია.

8. კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, პროექტის ძირითადი პერსონალის მოთხოვნის შემთხვევაში, ფონდი უზრუნველყოფს მათი პროექტის შესახებ დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ გაკეთებული კომენტარების გაცნობას.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. საგრანტო ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N55/ნ ბრძანების 12-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 9. ინტერესთა კონფლიქტი

1. ინტერესთა კონფლიქტი რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N55/ნ ბრძანების 11-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 10. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. პროექტის შესრულების მონიტორინგი რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N55/ნ ბრძანების 13-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N55/ნ ბრძანების მე-14 მუხლის შესაბამისად.

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2017 წლის 24 ნოემბრის N155 ბრძანებით

თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2017 წლის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირების განცხადება

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანით თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პირობებს და ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ თანხმობას აღნიშნულ პირობებზე. ასევე ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს.

პროექტის ხელმძღვანელი იღებს პასუხისმგებლობას, რომ თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2017 წლის ერთობლივ სამეცნიერო საგრანტო კონკურსში წარმოდგენილი პროექტი, ან პროექტის ნაწილი არ არის უკვე განხორციელებული პროექტის ხელმძღვანელისა ან/და მისი კვლევითი ჯგუფის მიერ რომელიმე (ეროვნული/საერთაშორისო) დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით.

პროექტის ხელმძღვანელი იღებს პასუხისმგებლობას, რომ წარმოდგენილი პროექტი არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს. იგი აგრეთვე პასუხისმგებელია, რომ პროექტის დოკუმენტაციის ინგლისური და ქართული ვერსიები იდენტურია.

ვეთანხმებით, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან. გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩვენი პროექტი.

1. პროექტის სახელწოდება:

2. პროექტის ბიუჯეტი (ლარი)

- 2.1 - სრული ბიუჯეტი (ლარი, ფონდიდან მოთხოვნილი და თანადაფინანსება ასეთის არსებობის შემთხვევაში):
- 2.2 - ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი):
- 2.3 - თანადაფინანსება (ლარი, ასეთის არსებობის შემთხვევაში):

3. პროექტის ხანგრძლივობა (თვეები): _____

4. პროექტის წარმომდგენი საქართველოს მეცნიერთა ჯგუფი:

#	პროექტში მონაწილე საქართველოს მეცნიერთა ჯგუფის წევრები (გვარი, სახელი)	როლი პროექტში	ხელმოწერა
1.		პროექტის ხელმძღვანელი	
2.			
3.			
4.			
N.			

5. საბაზო ორგანიზაცია

საბაზო ორგანიზაციის სახელწოდება	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	საბაზო ორგანიზაციის ხელმძღვანელის გვარი, სახელი	ხელმოწერა

საბაზო ორგანიზაციის ბეჭედი:

საქართველოდან პროექტის ხელმძღვანელისა და კვლევითი ჯგუფის წევრების
ბიოგრაფიული მონაცემები (CV)

	სახელი, გვარი	პირადობის ნომერი
ტელეფონი	_____	_____
ელ.ფოსტა	_____	დაბადების თარიღი (დ/თ/წ)
ვებგვერდი	_____	

პოზიცია/მოვალეობა პროექტში (მიუთითეთ პროექტის ხელმძღვანელი, პროექტის კოორდინატორი, ძირითადი პერსონალი, ან კონსულტანტი)

სამეცნიერო ინტერესთა სფერო

1. განათლება

№	წლები	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	აკადემიური ხარისხი	სპეციალობა
1				
2				
3				
4				
5				

2. სამუშაო გამოცდილება

№	წლები	თანამდებობა	დეპარტამენტი/განყოფილება	ორგანიზაცია
1				
2				
3				
4				
5				

3. სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში)

№	წლები	როლი პროექტში	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი
1				
2				
3				
4				
5				

4. ბოლო 5 წლის პუბლიკაციების ჩამონათვალი საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში

№	პუბლიკაციის სათაური	ჟურნალის სახელი, ტომი, ნომერი (წელი): გვერდები ან წიგნის/მონოგრაფიის სათაური, რედაქცია, გამომცემლობა, ქალაქი, წელი
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		

5. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობა (არაუმეტეს 5-სა)

№	წელი	ღონისძიების დასახელება	ადგილი	მოხსენების სათაური
1				
2				
3				
4				
5				

6. დაპატენტებული გამოგონებების ჩამონათვალი (არაუმეტეს 5-სა)

№	თარიღი	გამოგონების სახელწოდება	პატენტის მიმნიჭებელი ორგანიზაცია, ქვეყანა
1			
2			
3			
4			
5			

7. დამატებითი ინფორმაცია (საერთაშორისო სამეცნიერო ჯილდოები, სტიპენდიები და სხვ.)

CURRICULUM VITAE

Telephone	Name, Surname	ID number
E-mail		
Webpage		Date of Birth (D/M/Y)

Position/responsibility in the project (Principal Investigator, Project Coordinator, Key Personnel, etc.)

Research Interests

1. Education

№	Years	Name of the University/Institute, Country	Academic Degree	Major / Specialty
1				
2				
3				
4				
5				

2. Work Experience

№	Years	Position	Department / Unit	Organization
1				
2				
3				
4				
5				

3. Participation in Research Projects (over the last 5 years)

№	Years	Position / Responsibility	Project Title	Donor Organization
1				
2				
3				
4				
5				